გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი და კონსერვატორიის სტუდენტების მომსახურების წესი

დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 19 მარტის №5 დადგენილებით

ცვლილება შევიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის № 146/2021 დადგენილებით

ცვლილებათა პროექტი

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 19 მარტის N 5 დადგენილების სათაური: "გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი და კონსერვატორიის სტუდენტების მომსახურების წესის დამტკიცების შესახებ" ჩანაცვლდეს შემდეგი სათაურით: "საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებისა და პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მომსახურების წესის დამტკიცების შესახებ";
2. 1-ელ პუნქტში და შემდგომ მითითებული ტერმინი "საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი" ყველგან ჩანაცვლდეს ტერმინით "საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი";
3. მე-2 პუნქტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სასწავლო დეპარტამენტს დაემატოს სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტი;
4. მე-4 პუნქტი: "გაცვლითი პროგრამის მონაწილე კონსერვატორიის სტუდენტისათვის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი წინასწარ ამზადებს სასწავლო ხელშეკრულებას (learning agreement, ფორმა 1), რომელსაც ხელს აწერენ კონსერვატორიის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და სტუდენტის მასპინძელი უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი უგზავნის ორმხრივად ხელმოწერის სასწავლო ხელშეკრულების ასლს (learning agreement) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;"

   ჩანაცვლდეს შემდეგი რედაქციით: "საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილე კონსერვატორიის სტუდენტებისთვის მზადდება სასწავლო ხელშეკრულება (Learning Agreement), რომლის მომზადების წესი რეგულირდება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის – დეკემბერის N – დადგენილებით დამტკიცებული: "Erasmus+ KA171 და KA131 ICM პროგრამაში სტუდენტთა მონაწილეობის წესის დამტკიცების შესახებ" დანართის 2.5. პუნქტისა და "სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მობილობის, შიდა მობილობის/რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების

შესახებ” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ნოემბრის № 124/2021 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის შესაბამისად;

5. მე-8 პუნქტში მითითებული: “კონსერვატორიაში მოქმედი “კრედიტების აღიარების წესი” **ჩანაცვლდეს** “სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მობილობის, შიდა მობილობის/რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ნოემბრის № 124/2021 დადგენილებით”